საპატრიარქოს უწყებანი

№37
907

13-19 დეკემბერი 2018 წ. გამოიცემა 1999 წლის 8 იანვრიდან

ფასი 70 თეთრი

საქართველოს
საპატრიარქოს
პრესცენტრის
ყოველკვირეული
გამოცემა

რუსეთიდან საქართველოში წმინდა აღმსარებელი თამარის (მარჯანიშვილი) წმინდა ნაწილები ჩამობრძანდა

- ✠ ქადაგება
- ✠ მარადიული ცხოვრების გზა
- ✠ აწყურისა და ივერიის ღვთისმშობლის ხატების მოგზაურობის განრიგი მცხეთა-თბილისის ეპარქიაში
- ✠ ქრისტიანული ფილოსოფიის საწყისები საქართველოში
- ✠ ახალი საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო ღონისძიებები
- ✠ წმიდა ამბროსი, მედიოლანელი ეპისკოპოსი
- ✠ დაბრუნება

ახალი საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო ღონისძიებები

2018 წლის 5 დეკემბერს ახალი საქართველოს უნივერსიტეტში გაიმართა ამავე უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორის, ქრისტიანული ფილოსოფიის დოქტორანტის, დმანისისა და აგარაკ-ტაშირის ეპარქიის მღვდელმსახურის, არქიმანდრიტ დიონისეს (გვიმრაძე) საჯარო ლექცია თემაზე „წმინდა წერილი და წმინდა გარდამოცემა“. მომხსენებელმა მწყობრად გადმოსცა მართლმადიდებლური სწავლება, ერთი მხრივ, წმინდა წერილის, მეორე მხრივ კი, უფრო ზოგადი ცნების - წმინდა გარდამოცემის - შესახებ. წარმოჩენილი იყო მართლმადიდებლური თეოლოგიის ამ ორი უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტის შინაარსი, მნიშვნელობა და როლი სარწმუნოებრივ სწავლებაში. საგულისხმოა, რომ შედარებითი ღვთისმეტყველების ჩარჩოებში კრიტიკულად იქნა განხილული კათოლიკური და პროტესტანტული სწავლებები, მათი საფუძვლები და შედეგები. არქიმანდრიტმა დიონისემ თავის მოხსენებაში ავტორიტეტულ მართლმადიდებელ ავტორებზე დაყრდნობით აჩვენა წმინდა გარდამოცემის არსი და ხაზი გაუსვა იმ სავალალო ცდომილებებს, რომლებიც ხშირად მართებული სარწმუნოებრივი სწავლების გაუკუღმართებას იწვევს. მოხსენებას მოჰყვა ნაყოფიერი დისკუსია დამსწრე საზოგადოების მხრიდან, რომელთა შორისაც მრავლად იყვნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სხვადასხვა ეპარქიის მღვდელმსახურნი.

***

2018 წლის 7 დეკემბერს ახალი საქართველოს უნივერსიტეტში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩატარდა: გაიმართა ამავე უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, გიორგი ხუროშვილის ახალი წიგნის - „პლატონი ალ-ფარაბის პოლიტიკურ ფილოსოფიაში“ (2018 წ.) - პრეზენტაცია. მოცემულ ნაშრომში განხილულია ისლამური ფილოსოფიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლის, ალ-ფარაბის ნააზრევი, მისი საფუძვლები და შემდგომი გავლენები, წარმოდგენილია პოლიტიკური ფილოსოფიის ის ელემენტები, რომლებიც საფუძვლად დაედო ისლამურ პოლიტიკურ აზროვნებას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ალ-ფარაბი დღემდე დიდ გავლენას ახდენს ისლამური სამყაროს სააზროვნო მოდელებზე. ქართველი მკვლევრის აზრით, ამის ნათელი დასტურია ალ-ფარაბის ფილოსოფიის აქტუალობა თანამედროვე სამყაროში, კერძოდ კი, ის სამეცნიერო ღონისძიებები, რომლებიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით ტარდება მისი მოძღვრების შესახებ და მიზნად ისახავს ისლამთან დაკავშირებული პრობლემატიკის გადალახვას. პრეზენტაციის მსვლელობისას წიგნის ავტორმა ხაზი გაუსვა ინტერკულტურული დიალოგის მნიშვნელობას რელიგიათა და კულტურათა დაპირისპირების გადალახვის მეტად რთულ პროცესში.

***

2018 წლის 8 დეკემბერს კი ახალი საქართველოს უნივერსიტეტში გაიმართა ამავე უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორის, გიორგი კაპანაძის საჯარო მოხსენება თემაზე „სამართლიანობის გაგება თანამედროვე პოლიტიკურ ფილოსოფიაში“. მოხსენებაში წინა პლანზეა წამოწეული თანამედროვე პოლიტიკური აზროვნების ის იდეები, რომლებიც ფილოსოფიის მარადიულ პრობლემას, სამართლიანობას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება. სამართლიანობა ის ფილოსოფიური კატეგორიაა, რომელიც ჯერ კიდევ ანტიკური ხანის მოაზროვნეებიდან მოყოლებული, თითქმის ყველა დიდი მოაზროვნის საკვლევ საგანს წარმოადგენდა. მომხსენებელმა განიხილა ჯონ როულსის, რობერტ ნოზიკის, მიშელ სანდელის, ალესდერ მაკინტაირის და პოლიტიკური ფილოსოფიის სხვა წარმომადგენლების ნააზრევი. განხილვის საგანი იყო სამართლიანობის თეორია და მისი მორალური საფუძვლები, სამართლიანობის ცნების ტრანსფორმაცია თანამედროვე ლიბერალურ დისკურსში და მისი კრიტიკის განსხვავებული სტრატეგიები. მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია, მოხსენების შემდგომ კი არანაკლებ საინტერესო დისკუსია გაიმართა.